მ) გადასვენება – არის გარდაცვლილის ნეშტის მიწას მიბარების ცერემონია, როდესაც ხდება გარდაცვლილის ნეშტის ამოსვენება სამარიდან და იმავე სასაფლაოს სხვა სამარეში ან სხვა სასაფლაოზე დაკრძალვა;

ნ) სასაფლაოს დახურვა – არის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე შემოღებული სპეციალური რეჟიმი, როდესაც სასაფლაოზე წყდება ახალი, საფლავების გამოყოფა;

ო) სასაფლაოს გაუქმება – არის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე შემოღებული სპეციალური რეჟიმი, როდესაც სასაფლაოზე წყდება როგორც ახალი, ისე მეორეული დაკრძალვა.

მუხლი 3. სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა

1. ახალი სასაფლაო უნდა განლაგდეს სულ ცოტა 50 მეტრის დაშორებით საცხოვრებელი შენობებიდან და დასასვენებელი ადგილებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა (სტატუსის მინიჭება) ხდება უკვე ფაქტობრივად არსებული სასაფლაოს მომიჯნავედ, გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება საკრებულოს შესაბამისი განკარგულების საფუძველზე.

2. სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის (სტატუსის მინიჭების) შესახებ გადაწყვეტილებას ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით განკარგულების ფორმით იღებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. სასაფლაოების მოწყობა დაუშვებელია შემდეგ ტერიტორიებზე:

ა) წყალმომარაგების სათავეებთან, სანიტარიული დაცვის პირველ და მეორე ზონებში;

ბ) მდინარეების, ხელოვნული წყალსაცავების და სხვა ღია წყალსაცავების სანაპიროებზე, რომლებიც მოსახლეობის მიერ გამოიყენება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით;

გ) ქალაქის სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგების ცენტრალიზებული სისტემებით დაკავებულ ტერიტორიებზე.

4. სასაფლაოსათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) არ უნდა იყოს მეწყერულ ზონაში;

ბ) არ უნდა იტბორებოდეს წყალდიდობის შემთხვევაში;

გ) გრუნტული წყლები უნდა იყოს სულ ცოტა ორი მეტრით დაშორებული მიწის ზედაპირიდან.

მუხლი 4. სასაფლაოების მართვა

ქალაქ ხობში სასაფლაოების მართვას და მოვლა-პატრონობას ახორციელებს შ.პ.ს „ხობი დასუფთავება და განათება“.

მუხლი 5. გარდაცვლილის სასაფლაოზე დაკრძალვის წესი და საფასური

1. ჭირისუფლის მიერ ქალაქ ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელზე მიმართვის შემთხვევაში, გამგებლის წარმომადგენელი სასაფლაოს გამოყოფის მოთხოვნას უგზავნის შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“, რომელიც უსასყიდლოდ განახორციელებს ჭირისუფლისათვის საფლავის გამოყოფას.

2. დაინტერესებული პირის მიერ, თუკი მას სურს წინასწარ რამდენიმე სამარიათი საფლავის გამოყოფა იმ მიზნით, რომ სურვილი აქვს იქონიოს საგვარეულო (საოჯახო) საფლავი დაინტერესებული პირი მიმართავს ქალაქ ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს, ხოლო გამგებლის წარმომადგენელი საგვარეულო სასაფლავის გამოყოფის მოთხოვნას უგზავნის შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“, რომელიც უსასყიდლოდ განახორციელებს ჭირისუფლისათვის არაუმეტეს 6-სამარიათი საფლავის გამოყოფას.

3. გარდაცვლილის სასაფლაოზე დაკრძალვის შესახებ გარდაცვლილის ჭირისუფალზე (მათგან დაინტერესებულ პირზე) შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“ გასცემს შესაბამის მოწმობას მისი აღრიცხვის რიგითობისა და საფლავის (სამარის) ნომრის მითითებით. სასაფლაოზე დაკრძალულ პირთან დაკავშირებით გასაცემი მოწმობის ფორმას ამტკიცებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო გამგებლის წინადადების საფუძველზე.

4. სასაფლაოზე საფლავის (სამარის) წინასწარ (გამოყოფის) შესახებ შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“ დაინტერესებულ პირზე გასცემს შესაბამის მოწმობას მისი აღრიცხვის რიგითობისა და საფლავის (სამარის) ნომრის მითითებით.

მუხლი 6. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა მოიცავს:

ა) ბალახის, ბუჩქების და ხეების გაკრეჭვას და მორთვას;

ბ) წყალარინების სისტემის, წყლის ქსელების, გზების, შენობების და სასაფლაოს სხვა სტრუქტურების წესრიგში მოყვანას;

გ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების შეძენასა და მომსახურებას;

დ) მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას და სხვა თანხების გადახდას;

ე) მიცვალებულის ნეშტის დაკრძალვისათვის საჭირო მომსახურებას;

ვ) სასაფლაოს ტერიტორიის (გასასვლელები, ბილიკები, საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა ადგილები) მორწყვას, რეგულარულ დაგვა-დასუფთავებას, მწვანე ნარგავების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებასა და სხვა.

მუხლი 7. საფლავების მოწყობა და ექსპლუატაცია

1. სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის (სტატუსის მინიჭების) შემდეგ საფლავების (სამარეების) ქაოტურად განთავსებისა და მოუხერხებელი გარემოს შექმნისაგან თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება სასაფლაოს დაგეგმარება.

2. სასაფლაოს მოწყობა (დაგეგმარება) უნდა განხორციელდეს შესაბამისი წესით დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) დასაფლავებისათვის ნაკვეთების (სექტორების) გამოყოფა და მათი გამოყენების რიგითობა;

ბ) გასასვლელებისა და ფეხით სავალი გზების მიმართულება, ზომები და კეთილმოწყობა;

გ) მწვანე ნარგავების განთავსება და ხასიათი;

დ) სასაფლაოს ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობები და ნაგებობები (წყალგაყვანილობა, ყვავილების მაღაზია, საზოგადოებრივი ტუალეტი, დაკრძალვის წინ ცხედრის დასასვენებლად (სამოქალაქო პანაშვიდი და ა.შ.) განკუთვნილი სპეციალური შენობა და ა.შ.);

ე) სასაფლაოს გამწვანება, სასაფლაოს პერიმეტრის გასწვრივ დამცავი მწვანე ნარგავების გაშენება და დეკორატიული ნარგავების დარგვა, ძირითად ხეივანებსა და დაკრძალვის ადგილებში საკმარისი განიავების უზრუნველყოფით;

ვ) სასაფლაოს შესასვლელში საავტომობილო სადგომის მოწყობა;

ზ) საფლავებისა და საფლავში სამარეების აღრიცხვა-წუმერაცია და სხვა.

3. ყოველი გარდაცვლილის დაკრძალვა უნდა მოხდეს ცალკე სამარეში. ყოველ სამარეზე გაანგარიშებულ და გამოყოფილ უნდა იქნეს 2.5 კვ.მ-მდე ფართობის ტერიტორია. საფლავებს შორის დაშორება არ უნდა იყოს გრძელ მხარეებს შორის 1 მეტრზე ნაკლები, ხოლო მოკლე მხარეებს შორის – 0,5 მეტრზე ნაკლები.

4. სამარის სიღრმე არ უნდა იყოს 1,5 მეტრზე ნაკლები (ადგილობრივი ნიადაგისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით). გარდაცვლილ ჩვილ ბავშვთა ან ადრე გარდაცვლილის ნეშტის დასაფლავებისას სამარე შესაბამისად შეიძლება შემცირდეს. ყოველ სამარეზე უნდა მოეწყოს მისი ბორცვი.

5. გარდაცვლილთა დასაფლავების ადგილამდე გადატანა, როგორც წესი, ხორციელდება კუბოთი, უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში – დაკრძალვისათვის დამზადებულ სპეციალურ სუდარაში.

6. ცხედრის დაკრძალვა შეიძლება მხოლოდ გარდაცვალების მოწმობის წარმოდგენის შემდეგ. გამონაკლის შემთხვევაში უქმე დღეების გამო ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზით გარდაცვალების მოწმობის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში მიცვალებულის დაკრძალვა შესაძლებელია გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ან ექსპერტიზის აქტის წარმოდგენის საფუძველზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჭირისუფალი ვალდებულია წარმოადგინოს გარდაცვალების მოწმობა 1 კვირის მანძილზე.

7. ჭირისუფალი ვალდებულია შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათებას“ გარდაცვლილის შესახებ მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

ბ) დაბადების და გარდაცვალების თარიღი;

გ) უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი;

დ) გარდაცვალების მოწმობა ან სხვა დოკუმენტი (ცნობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს პირის გარდაცვალების ფაქტს) ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10. გარდაცვლილთა სხვა სამარეში გადასვენება შესაძლებელია მხოლოდ ჭირისუფალთან და შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათებასთან“ შეთანხმებით, სათანადო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვით.

მუხლი 8. საფლავი

1. საფლავი შეიძლება იყოს:

ა) ორი სამარის მქონე მეუღლეების დაკრძალვისათვის;

ბ) რამდენიმე სამარის მქონე საგვარეულო (საოჯახო) საფლავის მოწყობისათვის;

გ) ერთი, ორი ან უფრო მეტი სამარის მქონე ცალკეული დაკრძალვისათვის.

2. საფლავში, როგორც წესი, შეიძლება იყოს არა უმეტეს ექვსი სამარე. გამონაკლისი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასაფლაო ტერიტორიის დაგეგმარების პროექტით.

3. თუ საფლავში არის მხოლოდ ერთი თავისუფალი სამარე, მაშინ ის უპირობოდ ეკუთვნის გარდაცვლილის მეუღლეს, თუ გარდაცვლილის მეუღლე, არ არის მანამდე გარდაცვლილი, ან გარდაცვლილი არ იყო ქორწინებაში.

4. ცხედრის კონკრეტულ სასაფლაოზე დაკრძალვას ან გადასვენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს:

ა) გარდაცვლილის მიერ მის სიცოცხლეში ანდერძით, ხელშეკრულებით ან/და სხვა რაიმე წერილობითი დოკუმენტით დასახელებულმა პირმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) გარდაცვლილის მეუღლემ;

გ) გარდაცვლილის სრულწლოვანმა შვილმა (შვილებმა);

დ) გარდაცვლილის მშობლებმა;

ე) გარდაცვლილის ოჯახის სხვა სრულწლოვანმა წევრებმა;

ვ) გარდაცვლილის ახლო ნათესავმა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილ პირებს შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. სასაფლაოს დახურვა და გაუქმება

1. სასაფლაოზე ახალი საფლავის ადგილის გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას სასაფლაოს დახურვის შესახებ.

2. სასაფლაოზე ახალი და ადრე არსებული საფლავის ადგილების შევსების შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ახალი საფლავების გამოყოფა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულების ფორმით იღებს გადაწყვეტილებას სასაფლაოს გაუქმების შესახებ.

მუხლი 10. მიწის ნაკვეთზე კერძო სასაფლაოს მოწყობის წესი

1. მიწის ნაკვეთზე ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) ან არსებული კერძო სასაფლაოს გაფართოების საკითხი საჭიროებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან სავალდებულო შეთანხმებას.

2. მიწის ნაკვეთზე ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) ან არსებული კერძო სასაფლაოს გაფართოების თაობაზე დაინტერესებულმა პირმა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა წარუდგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში დირექტორის (ხელმძღვანელის) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა;

გ) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმა (A3 ფორმატზე, ფერადი) სათანადო დეტალიზაციითა და სამეზობლო საზღვრების ჩვენებით (გეგმაზე ნაჩვენები უნდა იყოს უახლოესი საცხოვრებელი შენობები და მათი მანძილი საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებიდან);

დ) იურიდიული პირის შემთხვევაში დამატებით იურიდიული პირის წესდების სათანადო წესით დამოწმებული ასლი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

3. მიწის ნაკვეთზე ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) ან არსებული კერძო სასაფლაოს გაფართოების თაობაზე გადაწყვეტილებას განკარგულების ფორმით იღებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4. კერძო სასაფლაოს მფლობელი პირი ვალდებულია მიწის ნაკვეთზე კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) ან გაფართოებისა და სასაფლაო მეურნეობის წარმოების დროს დაიცვას წინამდებარე წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები და მოთხოვნები.

მუხლი 11. წესში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა

წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება საკრებულოს დადგენილებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22

2015 წლის 29 ივლისი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი - www.matsne.gov.ge), 17/07/2014წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016106) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹-4² მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4¹. საკრებულოს საქმისწარმოება

1. საკრებულოში ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოება.
2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვა საკრებულოში ხორციელდება „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N64 დადგენილების შესაბამისად.
3. ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ავტომატიზებული პროგრამის „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის“ მეშვეობით.
4. საკრებულოს საქმისწარმოებაში გამოყენებული ელექტრონული დოკუმენტების სახეები, მათი გაფორმების სტანდარტები განისაზღვრება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ავტომატიზებული პროგრამით „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა“, აგრეთვე ავტომატიზებული ელექტრონული პროგრამით „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა“.
5. საკრებულოს ელექტრონულ საქმისწარმოებას დადგენილი სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

მუხლი 4². ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა

1. ამ რეგლამენტის მე-4¹ მუხლით განსაზღვრული ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვის მიზნით საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს:
 - ა) სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ავტომატიზებული პროგრამის „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის“ დანერგვას;
 - ბ) ავტომატიზებული პროგრამის „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის“ დანერგვას;
 - გ) საკრებულოს აპარატის მოხელეთა სწავლებას ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული პროგრამების ეფექტიანი გამოყენების მიზნით.
2. ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვამდე საკრებულოს საქმისწარმოება დასაშვებია დადგენილი წესით ქაღალდზე შესრულებული ბეჭდური დოკუმენტების მეშვეობით, დოკუმენტბრუნვის არსებული სისტემის შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23

2015 წლის 29 ივლისი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N13 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge), 17/07/2014წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016112) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ აპარატის დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹-3² მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3¹. საკრებულოს საქმისწარმოება

1. აპარატი უზრუნველყოფს საკრებულოს ელექტრონულ საქმისწარმოებას.

2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვა საკრებულოში ხორციელდება „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N64 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 3². ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა

1. საკრებულოს საქმისწარმოებაში აპარატი უზრუნველყოფს:

ა) სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ავტომატიზებული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვას;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურთან კოორდინაციით ავტომატიზებული ელექტრონული პროგრამის „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა“ დანერგვას.

2. ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვამდე საკრებულოს აპარატის საქმისწარმოება დასაშვებია დადგენილი წესით ქაღალდზე შესრულებული ბეჭდური დოკუმენტების მეშვეობით, დოკუმენტბრუნვის არსებული სისტემის შესაბამისად.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24

2015 წლის 27 აგვისტო

ქ. ხოზი

„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge), 04.08.2014,წ; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016114) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.თ) ამტკიცებს გამგეობის შინაგანაწესს, გამგეობის მოხელეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;“;

ბ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ვ) არაუგვიანეს თებერვლისა საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს; ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;“;

გ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ბ) საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრების შესახებ; მეწარმე იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;“;

დ) მე-20 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება გამგებლის ბრძანებით.“;

ე) 45-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2015 წლის 27 აგვისტო

ქ. ხობი

**„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის
№39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №39 დადგენილება.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26

2015 წლის 23 სექტემბერი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „და“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 69-ე და მე-80 მუხლებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ხოზის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №46 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016145) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

„ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია შემდეგი გადანაწილებები:

ა) „ხოზის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 29 მაისის N436 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლის წინადადება და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ავტოავარიაში დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარების დაფინანსების მიზნით, შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03) 2,0 (ორი ათასი) ათასი ლარით და 2,0 ათასი ლარი მიიმართა პროგრამის „უმწეოთა ერთჯერადი დახმარება“ (პროგრამული კოდი 06 04) ასიგნებაზე;

ბ) „ხოზის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 1 ივნისის N439 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციული სამსახურის წინადადება და საჯარო კონკურსის მეორე ეტაპის - ტესტირების ჩატარებისთვის მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით, შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015

წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03) 0,2 ათასი ლარით და 0,2 ათასი ლარით გადიდდა მუნიციპალიტეტის გამგეობის (პროგრამული კოდი 01 02) „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება;

გ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 2 ივნისის N443 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წინადადება და ქ. ხობში მეორე საჯარო სკოლის წინ მდებარე სკვერში არსებული საბავშვო ატრაქციონის სარემონტო სამუშაოების დაფინანსების მიზნით, შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03) 3,0 ათასი ლარით და 3,0 ათასი ლარით გადიდდა ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 03 02 03) „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება;

დ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 2 ივნისის N444 ბრძანებით 0,2 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა“ ასიგნება, 0,2 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწვავ/საპოხი მასალების შექმნა“ ასიგნება, 0,3 ათასი ლარი შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 0,5 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა“ ასიგნება, 0,2 ათასი ლარით გადიდდა მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება;

ე) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 5 თებერვლის N95 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 5 ივნისის N452 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წინადადება და პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის N1132 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხების ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 765,0 ათასი ლარით; შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა - 765,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“

მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნებაზე, კერძოდ: 300,0 ათასი ლარი ათასი ლარი - პროგრამის „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)“ ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ (პროგრამული კოდი 03 01 01) ასიგნებაზე, 465,0 ათასი ლარი - პროგრამის „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 03 02) ასიგნებაზე, აქედან: 150,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 03 02 02) ასიგნებაზე, 315,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 03 02 03) ასიგნებაზე;

ვ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 21 მაისის N428 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივნისის N474 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წინადადება და ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების დაფინანსების მიზნით, შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03) 6,0 ათასი ლარით და 6,0 ათასი ლარი მიიმართა მუნიციპალიტეტის გამგეობის „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი“ ასიგნებაზე (5,85 ათასი ლარი - სარემონტო სამუშაოები, 0,15 ათასი ლარი - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა).“;

ზ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 19 ივნისის N482 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა ოჯახის ფინანსური დახმარების მიზნით, შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03) 2,0 ათასი ლარით და 2,0 ათასი ლარი მიიმართა პროგრამის „უმწეოთა ერთჯერადი დახმარება“ (პროგრამული კოდი 06 04) „სხვა ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი“ ასიგნებაზე, მალხაზ ზარანდიას ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის;

თ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის (პროგრამული კოდი 01 01) დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 22 ივნისის N492 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,36 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟება“ ასიგნება, 0,3 ათასი ლარით - „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „რბილი ავეჯი“ ასიგნება და 0,66 ათასი ლარით გადიდდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ასიგნება;

ი) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 თებერვლის N95 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 ივნისის N496 ბრძანებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის N1134 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებების ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 60,0 ათასი ლარით, შემცირდა „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება, კერძოდ: 60,0 ათასი ლარით - ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 03 02 03) ასიგნება;

კ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 24 ივნისის N497 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 0,2 ათასი ლარით შემცირდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ასიგნება, 0,2 ათასი ლარით - „საქონელი და მომსახურებას“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება და 0,4 ათასი ლარი გადიდდა „სოციალური უზრუნველყოფა“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სოციალური დახმარება“ ასიგნება;

ლ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 26 ივნისის N503 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 0,1 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 0,1 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება;

მ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანები“-სათვის დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 ივნისის N506 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წინადადება და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანები“-სათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 0,4 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კვების ხარჯები“ ასიგნება და 0,4 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება;

ნ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის (პროგრამული კოდი 01 01) დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 ივნისის N511 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,6 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კომპიუტერული ტექნიკა“ ასიგნება, 2,7 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კავშირგაბმულობის ხარჯი“ ასიგნება და 3,3 ათასი ლარით გადიდდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „მტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება;

ო) „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებების პროგრამებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 ივნისის N512 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებში 10,0 ათასი ლარით შემცირდა პროგრამის „ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება“ ასიგნება და 10,0 ათასი ლარით გადიდდა პროგრამის „მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის „ავადმყოფთა სოციალური დახმარება“ ასიგნება;

პ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის დამტკიცებული ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი“ ასიგნებების ღონისძიებებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 ივლისის N591 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი“ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება 1,26 ათასი ლარით შემცირდა ევრო დიზელის, კპმ-50 და ნაკლები, ასიგნება და 1,26 ათასი ლარით გადიდდა ბენზინის, ევრო რეგულარი, ასიგნება;

ჟ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 9 ივლისის N599 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 1,5 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 1,5 ათასი ლარით გადიდდა „არაფინანსური აქტივების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ ასიგნება;

რ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის

მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივლისის N636 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წინადადებები და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 2,2 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „რბილი ავეჯი“ ასიგნება, 1,9 ათასი ლარით - „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 4,1 ათასი ლარი მიიმართა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „პრემია“ ასიგნებაზე;

ს) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-სათვის“ დამტკიცებული „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნებების ღონისძიებებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 24 ივლისის N666 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წინადადება და შპს „ხობი დასუფთავება და განათებასთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნებებში 1,9 ათასი ლარით შემცირდა შადრევნისა და სასმელი წყლის სოკოების მოვლა-პატრონობის ხარჯების ასიგნება და 1,9 ათასი ლარით გადიდდა გარე განათების მოვლა-პატრონობის ხარჯების ასიგნებაზე;

ტ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისთვის“ დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 29 ივლისის N673 ბრძანებით მიღებულ იქნა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს წინადადება და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 1,04 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „რბილი ავეჯი“ ასიგნება და 1,04 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი“ ასიგნება;

უ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი 31.12.2014 წ., სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.106.016145) ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 31 ივლისის N684 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წინადადება და „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივლისის N1554 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 34,1 ათასი ლარის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 34,1 ათასი

ლარით, შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 34,1 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი 06 00) პროგრამის „ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება“ (პროგრამული კოდი 06 05) „სხვა ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი“ ასიგნებაზე;

ფ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-სათვის დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 აგვისტოს N724 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წინადადება და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-სათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 1,75 ათასი ლარით შემცირდა მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ასიგნება და 1,75 ათასი ლარით გადიდა მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება;

ქ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 აგვისტოს N725 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 0,4 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 0,4 ათასი ლარით გადიდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება;

ღ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამის „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 03 02) ასიგნებების ქვეპროგრამებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 აგვისტოს N728 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წინადადება (მოხსენებითი ბარათი N10/16658 03.08.2015 წ.) და ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 03 02) ასიგნებებში 0,8 ათასი ლარით შემცირდა ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 03 02 03) „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება (ქ. ხობში მეორე საჯარო სკოლის წინ მდებარე სკვერში არსებული საბავშვო ატრაქციონის სარემონტო სამუშაოების ასიგნება) და 0,8 ათასი ლარი გადიდა ქვეპროგრამის „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 03 02 02) „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება (სოფელ ყულევში სასმელი წყლის მიწოდების ასიგნება);

ე) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი 31.12.2014 წ., სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.106.016145) ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 აგვისტოს N729 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წინადადება და პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის N1381 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 900,0 ათასი ლარის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: გადიდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 900,0 ათასი ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 900,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნებაზე, აქედან: 138,6 ათასი ლარი ქვეპროგრამის „ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ (პროგრამული კოდი 03 01 02) ასიგნებაზე, 761,4 ათასი ლარი პროგრამის „სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 03 04) ასიგნებაზე;

შ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 7 აგვისტოს N733 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 0,1 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 0,1 ათასი ლარით გადიდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „მობილური ტელეფონი“ ასიგნება;

ჩ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 7 აგვისტოს N734 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 0,7 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კავშირგაბმულობის ხარჯი“ ასიგნება და 0,7 ათასი ლარით გადიდა მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება;

ც) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისათვის“ დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 აგვისტოს N738 ბრძანებით მიღებულ იქნა

გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წინადადება და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 1,38 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „მივლინებები“ ასიგნება, 3,4 ათასი ლარით - „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „კვების ხარჯები“ ასიგნება, 3,7 ათასი ლარით - „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „სამედიცინო ხარჯები“ ასიგნება, 3,56 ათასი ლარით - „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „რბილი ინვენტარი“ ასიგნება, 10,1 ათასი ლარით - „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 11,14 ათასი ლარით გადიდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება, 11,0 ათასი ლარით - „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება;

დ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 აგვისტოს N739 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 1,5 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 1,5 ათასი ლარი გადიდა მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება;

ე) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 აგვისტოს N753 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება 1,8 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 1,8 ათასი ლარით გადიდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი“ ასიგნება;

ჟ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 03 02 03) ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 აგვისტოს N760 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 03 02 03) ასიგნებებში 0,3 ათასი ლარით შემცირდა

„საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 0,3 ათასი ლარი გადიდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება;

ბ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 აგვისტოს N761 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წინადადება და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება 0,7 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება და 0,7 ათასი ლარით გადიდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „პრემია“ ასიგნება;

ჯ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისათვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 აგვისტოს N762 ბრძანებით მიღებულ იქნა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წინადადება და მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისათვის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება 0,55 ათასი ლარით შემცირდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „პრემია“ ასიგნება და 0,55 ათასი ლარით გადიდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება;

